შეტყობინება მერვე

## ღმერთის მრავალმხრივი სიბრძნე

ადგილები წერილიდან: იგავ. 1:2; 8:1-31; 9:10; რომ. 11:33; 1 კორ. 1:24, 30; კოლ. 2:2-3; ეფეს. 3:10

**I. იგავების წიგნში ხაზგასმულია სიბრძნე, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ ღმერთისაგან ღმერთთან შეხების მეშვეობოთ – 1:2; 2:10; 4:5; 9:10; 11:2ბ; 14:33ა:**

ა. იგავების თემაა – ცხოვრება ღვთისმოსავი სიცოცხლით ღმერთის სიბრძნის მეშვეობით – 3:13-18; 8:11.

ბ. იგავების ცენტრალური აზრი არის ის, რომ ჩვენ უნდა ვეძებოთ სიბრძნე, რათა ვიცხოვროთ დედამიწაზე ღვთისმოსავი სიცოცხლით, რომელიც მოსაწონია ღმერთისათვის – 2:1-9.

გ. სიბრძნე მოდის ღმერთისაგან: „იეჰოვა გვაძლევს სიბრძნეს; მისი ბაგედან გამოდის ცოდნა და გონიერება“ – მუხ. 6.

დ. სიბრძნე არის უფრო ძვირფასი და უკეთესი, ვიდრე ოქრო, ვერცხლი და მარჯნები, და ის უფრო სასურველია, ვიდრე რაღაც სხვა – 3:14-15; 8:11, 19.

ე. იგავების ზოგიერთ ნაწყვეტში ღმერთის სიბრძნე არის გაპიროვნებული – 1:20; 3:19; 4:5-9; 8:1-36:

1. ღმერთის სიბრძნის გაპიროვნება არის მინიშნება ღვთაებრივი სამების მეორეზე, რომელიც გახდა სიბრძნე ღმერთისაგან ახალი აღთქმის ყველა მორწმუნისათვის – მათე 11:19; კოლ. 2:3; 1 კორ. 1:24, 30.
2. „იეჰოვამ სიბრძნით დააფუძნა დედამიწა“ – იგავ. 3:19ა:
   ა) ის, ვისი მეშვეობითაც იეჰოვამ დააფუძნა დედამიწა და დაადგინა ზეცანი, არის ქრისტე, ღმერთის სიბრძნე – 1 კორ. 1:24.
   ბ) სიბრძნე როგორც ოსტატი, რომლის მეშვეობითაც ღმერთმა შექმნა ყველაფერი, არის ღმერთის სიხარული – იგავი 8:30.
   გ) ღმერთის მიერ ყველაფრის შექმნა ხორციელდება ქრისტეს მეშვეობით, რომელიც არის სიბრძნე და ღმერთის სიამოვნება – 3:19; კოლ. 1:16-17; ებრ. 1:2.

**II. რომ. 11:33ა-ში საუბარია ღმერთის სიბრძნეზე: „ო, ღმერთის სიმდიდრეთა და სიბრძნისა და შემეცნების სიღრმე!“:**

ა. მნიშვნელოვანია დავინახოთ განსხვავება სიბრძნესა და ცოდნას შორის – მუხ. 33:

1. სიბრძნე საჭიროა იმისათვის, რომ შევადგინოთ გეგმა და ჩამოვაყალიბოთ ჩანაფიქრი – ეფეს. 1:9; 3:11.
2. სიბრძნე ვლინდება რაღაცის დაწყებაში, როგორც ნაჩვენებია რომ. 11:36-ში: „ყველაფერი არის მისგან, მისი მეშვეობით, და მის მიმართ“.
3. ღმერთი არის ერთადერთი დამწყები: „ერთი ღმერთი, მამა, რომლისგანაც არის ყველაფერი“ – 1 კორ. 8:6ა:

ა) ღმერთმა დაუდო დასაწყისი მრავალ რამეს არა თავისი ცოდნის მეშვეობით, არამედ თავისი სიბრძნის მეშვეობით – იგავ. 3:19; 8:12, 22-31.

ბ) როდესაც ღმერთი რაღაცას აკეთებს, რათა გამოიყენოს ის, რასაც მან დაუდო დასაწყისი, ის გვიჩვენებს თავის ცოდნას.

ბ. ღმერთის სიბრძნე არის „ღმერთის სიბრძნე საიდუმლოში, სიბრძნე, რომელიც იყო დაფარული, რომელიც ღმერთმა წინასწარგანსაზღვრა საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისათვის – 1 კორ. 2:7:

1. როგორც ღმერთის ცენტრი და როგორც ჩვენი ხვედრი ჩვენი ტკბობისათვის, ქრისტე არის ღმერთის სიბრძნე საიდუმლოში, რომელიც არის ღრმა და საფუძვლიანი – რომ. 11:33.
2. ღმერთში არის სიბრძნე საიდუმლოში; ეს სიბრძნე იყო დაფარული და წინასწარგანსაზღვრული საუკუნეთა უწინარეს ჩვენი დიდებისათვის – 1 კორ. 2:7.

გ. „ერთადერთ ბრძენ ღმერთს, იესო ქრისტეს მეშვეობით, დიდება უკუნითი უკუნისამდე. ამინ!“ – რომ. 16:27:

1. ადგილობრივ ეკლესიებში მთელ დედამიწაზე ჩვენ ყველანი ვადიდებთ ერთადერთ ბრძენ ღმერთს.
2. ბრძენმა ღმერთმა მოგვცა ჩვენ იესო ქრისტე საიდუმლოს გამოცხადების თანახმად, რომელზეც არაფერი არ იყო ნათქვამი საუკუნეთა განმავლობაში, და ის ასევე არის ის, ვინც გადაგვარჩინა ჩვენ, ხელახლაგვშვა ჩვენ და თავისი ღვთაებრივი დარიგების მეშვეობით განუწყვეტლივ გვაახლებს და გარდაგვსახავს ჩვენ, და ვინც საბოლოოდ განგვადიდებს ჩვენ და გარდაგვსახავს ჩვენ ღმერთის პირმშო ძის სახებად, მიგვიყვანს ჩვენ დიდებაში – მუხ. 25; 3:24-25; 5:10; 8:16, 23, 29; 12:1-2.

## III. ქრისტე არის ღმერთის სიბრძნე – 1 კორ. 1:24:

ა. ახალ აღთქმაში ღმერთის განპიროვნებული სიბრძნე არის ქრისტე, როგორც მისი სინამდვილე – იგავ. 8:1, 12; 9:1; ლუკა 2:40, 52; 7:35; მათე 11:19:

1. ქრისტეს ღვთაების სიბრძნე გაიხსნა მისი სხეულებრივი ზრდის ზომასთან ერთად – კოლ. 2:2-3; ლუკა 2:40, 52.
2. მათეს 11:19ბ-ში ნაჩვენებია, რომ სიბრძნე არის ქრისტე:
   ა) რაც არ უნდა გაეკეთებინა ქრისტეს, ეს ყველაფერი კეთდებოდა ღმერთის სიბრძნით, ანუ თვით ქრისტეთი – 1 კორ. 1:24.
   ბ) ეს სიბრძნე იყო გამართლებული, ანუ დამტკიცებული, მისი ბრძნული საქმეებით, მისი ბრძნული მოქმედებებით.
3. ლუკას 7:35-ში უფალმა იესომ თქვა: „სიბრძნე გამართლებულია ყველა მისი შვილის მიერ“.
   ა) მათ, ვისაც სწამთ ქრისტეში, არიან სიბრძნის შვილები, რომლებიც ამართლებენ ქრისტეს და მის საქმეებს და მიჰყვებიან მას როგორც თავის სიბრძნეს.

ბ) ქრისტეს სამუშაო არის ის, რომ წარმოგვქმნას ჩვენ როგორც სიბრძნის შვილები, რომლებიც ზრუნავენ სიბრძნის სიცოცხლეზე.

ბ. ქრისტეში „დაფარულია სიბრძნისა და ცოდნის ყველა საგანძური“ – კოლ. 2:3:

1. ღმერთი არის ერთადერთი სათავე სიბრძნისა და ცოდნის:
   ა) ჩვენ უნდა მივიდეთ იმის გაცნობიერებასთან, რომ ნამდვილი სათავე სიბრძნისა და ცოდნისა არის ღმერთში – 1 კორ. 8:6.
   ბ) სიბრძნისა და ცოდნის ყველა საგანძური დაფარულია ქრისტეში, რომელიც არის ღმერთის საიდუმლო – კოლ. 2:2-3.
2. ის ფაქტი, რომ სიბრძნე და ცოდნა განსხეულებულია ქრისტეში, მტკიცდება მის მიერ ნათქვამი სიტყვებით, განსაკუთრებით იმ სიტყვებით, რომლებიც ჩაწერილია მათესა და იოანეს სახარებებში:
   ა) უფლის სიტყვა, ჩაწერილი ამ ორ წიგნში, მოიცავს თავის თავში უმაღლეს ფილოსოფიას.
   ბ) აზრი უფლის სიტყვებში არის ღრმა და საფუძვლიანი.
3. ვინაიდან სიბრძნე და ცოდნა ინახება როგორც საგანძური ქრისტეში, თუ ჩვენ არ გვყავს ქრისტე, ჩვენ ვერ გვექნება სიბრძნე და ცოდნა – კოლ. 1:27; 3:4, 10-11.
4. თუ ჩვენ ვავარჯიშებთ ჩვენს არსებას, რათა შევეხოთ უფალს, ქრისტე როგორც მაცოცხლებელი სული გაუღენთოს ჩვენს სულს და ჩვენს გონებას და ჩვენ ჩვენს განცდაში გაგვიჩნდება სიბრძნე და ცოდნა, რომლებიც დაფარულია ქრისტეში – 2:3.

**IV. როგორც მორწმუნეები, ჩვენ ვართ ქრისტეში, და ქრისტე გახდა სიბრძნე ჩვენთვის ღმერთისაგან – 1 კორ. 1:30:**

ა. ის, რასაც ჩვენ მორწმუნეები, როგორც ახალი ქმნილება წარმოვადგენთ და რაც გაგვაჩნია, არის ღმერთიდან და არა ჩვენგან – რომ. 11:36.

ბ. როგორც ჩვენი სიბრძნე, ქრისტე არის ყოვლისმომცველი, და ის ხდება სიბრძნე ჩვენთვის ღმერთისაგან სამართლიანობაში, გაწმიდანებასა და გამოსყიდვაში – 1 კორ. 1:30:

1. ქრისტეს როგორც ჩვენი სამართლიანობის წყალობით ჩვენ ვართ გამართლებული ღმერთის მიერ, რათა ხელახლავიშვათ ჩვენს სულში და მივიღოთ ღვთაებრივი სიცოცხლე – რომ. 5:18.
2. ქრისტეს როგორც ჩვენი გაწმიდანების წყალობით ჩვენ ვწმიდანდებით ჩვენს სამშვინველში, ანუ გარდავისახებით ჩვენს გონებაში, გრძობებსა და ნებაში მისი ღვთაებრივი სიცოცხლის წყალობით – 6:19, 22; 12:2; 2 კორ. 3:18.
3. ქრისტე როგორც ჩვენი გამოსყიდვა განკუთვნილია ჩვენი სხეულის გამოსყიდვისათვის, რომლის წყალობითაც ჩვენ სახეს ვიცვლით ჩვენს სხეულში მისი ღვთაებრივი სიცოცხლის დახმარებით, რათა მოვიპოვოთ მისი დიდებული მსგავსება – რომ. 8:23; ფილიპ. 3:21.

გ. გამოთქმა *„ჩვენ ღმერთისაგან“* 1 კორ. 1:30-ში მიუთითებს რაღაც თანდამსწრებზე, პრაქტიკულსა და განცდასთან დაკავშირებულზე, რაც ხორციელდება გადაცემის მეშვეობით:
   1. ის, რომ ქრისტე გახდა სიბრძნე ჩვენთვის ღმერთისაგან, მიუთითებს იმაზე, რომ ქრისტე როგორც სიბრძნე გადმოგვეცემა ღმერთისაგან ჩვენ ჩვენი ყოველდღიური განცდისათვის – მუხ. 30.
   2. ქრისტე როგორც სიბრძნე განუწყვეტლივ უნდა მოედინებოდეს ღმერთიდან ჩვენთან, რათა იყოს ჩვენი თანდამსწრები და პრაქტიკული სიბრძნე ჩვენს განცდაში.
   3. თუ ჩვენ დავრჩებით უფალთან, მივიღებთ მის დარიგებას (იოანე 15:4-5), ის გადმოიცემა ჩვენში, როგორც სიბრძნე, რომელიც ნებას მოგცემს გავუმკლავდეთ სხვადასხვა პრობლემებსა და საკითხებს.
   4. თუ ჩვენ ვიქნებით ერთი უფალთან და მივიღებთ მის დარიგებას, ჩვენ დღითი დღე და ყოველ საათს განვიცდით მას როგორც ჩვენს სიბრძნეს და დავტკბებით მისით როგორც ჩვენი სიბრძნით – 1 კორ. 6:17; 1:30.

**V. ეკლესიის მეშვეობით ღმერთის მრავალმხრივი სიბრძნე ხდება ცნობილი მთავრობებისა და ხელმწიფებისათვის ზეციურ საზღვრებში – ეფეს. 3:10:**

ა. მთავრობები და ხელმწიფებანი არის ანგელოზური მთავრობები და ხელმწიფებანი – კეთილიც და ბოროტიც.

ბ. ეფეს. 3:10-ში იგულისხმება განსაკუთრებით ბოროტები – სატანა და მისი ანგელოზები:
   1. სატანას აქვს თავისი სამეფო, ჰყავს თავისი ანგელოზები და თავისი მმართველობის სფერო – მათე 12:26; 25:41; ეფეს. 6:12:
      ა) სატანის მმართველობის სფერო არის ჰაერში და დედამიწაზე – 2:2; 1 იოანე 5:19.
      ბ) დანიელ წინასწარმეტყველის წიგნში ნაჩვენებია, რომ ყველა ხალხი დედამიწაზე ემორჩილება სატანის მმართველობას ჰაერში – 10:13.
   2. ეკლესიის მეშვეობით ღმერთი გახდის ცნობილს თავის სიბრძნეს ძირითადად არა ადამიანებისათვის, არამედ იმ აჯანყებული ანგელოზებისათვის, რომლებიც მიჰყვებიან მტერს –გამოცხ. 12:7.

ბ. სატანის ჯანყიც კი არის ღმერთის სიბრძნის სფეროში – ესაია 14:12-14:
   1. სატანის ჯანყი რომ არ ყოფილიყო, ღმერთის სიბრძნე ვერ გახდებოდა ცნობილი სრულად.
   2. სატანამ შექმნა მრავალი შესაძლებლობა ღმერთის სიბრძნის მრავალმხრივი გამოვლინებისათვის, ანუ მისი გამოვლინებისათვის სხვადასხვა გზით და სხვადასხავა ასპექტებში და მრავალი კუთხით – ეფეს. 3:10.
   3. საბოლოოდ სატანა, ღმერთის მტერი, იქნება დამორჩილებული და გაიგებს ღმერთის მრავალმხრივ სიბრძნეს – მუხ. 10.

დ. როდესაც ღმერთის რჩეული და გამოსყიდული ადამიანები ეზიარებიან ქრისტეს სიმდიდრეებს და დატკბებიან მისით, ეს სიმდიდრეები გახდის მათ შემადგენლობით ეკლესიად, რომლის მეშვობითაც ღმერთის მრავალმხრივი

სიბრძნე გახდება ცნობილი ანგელოზური მთავრობებისათვის და ხელმწიფებისათვის ზეციურ საზღვრებში – 8-10:

1. დადგება დღე, როდესაც ეკლესიის მეშვეობით სატანა და მისი ანგელოზები იქნებიან შერცხვენილნი.
2. ისინი გაიგებენ, რომ ყველაფერი, რასაც ისინი აკეთებდნენ, აძლევდა ღმერთს შესაძლებლობას, რომ გამოევლინა თავისი სიბრძნე.

**VI. ახალი იერუსალიმი როგორც საბოლოო დასრულება ეკლესიისა იქნება სავსე სიბრძნით – გამოცხ. 1:11; 21:2, 9-11; 22:16:**

ა. ახალი იერუსალიმი დაგეგმილია და აშენებულია ღმერთის მიერ, ხუროთმოძღვრისა და მშენებლის მიერ საძირკვლიანი ქალაქის – ებრ. 11:10:

1. აქედან გამომდინარეობს, რომ ღმერთი არის მცოდნე დამგეგმავიც და ნიჭიერი ოსტატიც.
2. სწორედ ასეთმა ხუროთმოძღვარმა და მშენებელმა, ღმერთმა, რა თქმა უნდა, დაგეგმა და ააშენა არა ფიზიკური ქალაქი – გამოცხ. 21:9-11.
3. იმაზე საუბარი, რომ ახალი იერუსალიმი არის ფიზიკური ქალაქი, ნიშნავს ღმერთის სიბრძნის სათანადოდ ვერ შეფასებას და მისი როგორც მარადილი ბრძენი ხუროთმოძღვრის დამცირებას – ებრ. 11:10.
4. ღმერთმა დაგეგმა და ააშენა სულიერი თავისი ერთობლივი გამოხატულებისათვის – გამოცხ. 21:9-11.
5. თავის სიბრძნეში ღმერთი აშენებს ახალ იერუსალიმს, იმის მეშვეობით, რომ არიგებს თავის თავს როგორც ხუროთმოძღვარს და მშენებელს ჩვენს არსებაში – ებრ 11:10; 2 კორ. 13:114; გამოცხ. 21:2; 22:1-2.

ბ. თუ ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ახალი იერუსალიმი არის ნიშანი, რომელიც აღნიშნავს სულიერსა და ღვთაებრივს, ჩვენ დავიწყებთ ღმერთის სიბრძნის დანახვას, გამოვლენილს ამ ქალაქში – 1:1; 21:9-11.

გ. ღმერთი არის ბრძენი ხუროთმოძღვარი და მშენებელი, რომელიც გეგმავს და აშენებს ასეთ ქალაქს, რათა ის იყოს სრული გამოვლინება მისი მრავალმხრივი სიბრძნისა – ეფეს. 3:10; გამოცხ. 21:2. 9-11.